ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №66/2

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „31" „ივლისი" 2015 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებას აქვთ შემდები მნიშვნელობა

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომ–ხელშეკრულება) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ. მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ შემსყიდველი) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „ მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

1.4 „ხელშკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები:

ერთის მხრივ: *თიანეთის მუნიციპალიტეტი*

წარმომადგენელი: *მუნიციპალიტეტის გამგებლის ლელა ქიტესაშვილის სახით*

(შემდგომში „შემსყიდველი")

მეორეს მხრივ: *ინდ.მეწარმე „სულხან ყორიაული-გლობუსი"*

(მიმწოდებლის დასახელება)

წარმომადგენელი: სულხან ყორიაული (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის.

3. ხელშეკრულების საგანი:

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: სოფ. მაგრანეთის წყალსადენის სისტემის მოწყობის სამუშაოები.

შესყიდვა ხორციელდება-გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

3.2 ნორმატიული აქტი: „საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის #506, 2014 წლის 20 მარტის #471 და 2013 წლის 17 მაისის # 466 განკარგულებები."

3.3 კლასიფიკატორის კოდი CPV- 45232000

4. ხელშეკრულების ღირებულება:

4.1. შესასრულებელი სამუშაოს საერთო ღირებულება შეადგენს 11291 (თერთმეტი ათას ორას ოთხმოცდათერთმეტი) ლარს. დღგ-ს გარეშე.(მათ შორის 2015 წლის 12 მარტის #506 განკარგულებით 6329 ლარი)

4.2 სამუშაოები შესრულებული იქნება შემდეგ მისამართზე: სოფ. მაგრანეთი

5. მხარეთა უფლება–მოვალეობანი:

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია: დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები არაუგვიანეს 2015 წლის 30 სექტემბრამდე.

ხელშეკრულებით გათავლისწინებულ ვადაში განახორციელოს: ხარისხიანი სამუშაოების შესრულება. იგი პასუხისმგებელია შესრულებელი სამუშაოების ხარისხზე, ვარგისიანობასა და დროულობაზე.

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს გაწეული მომსახურეობის ღირებულება.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ალდებულებებზე.

6.სამუშაოების მიღება–ჩაბარების წესი:

6.1 სამუშაო შესრულებულად (მომსახურეობა გაწეულად, საქონელი მიწოდებულად,) ჩაითვლება, საბოლოოდ შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი:

7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შესაბამისი უფლებამოსილი პირი.

8. შესრულებული სამუშაოს (გასაწევი მომსახურების, მიწოდებული საქონელის,) ხარისხი და გარანტია:

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას,რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი (გაწეული მომსახურება, შესრულებული სამუშაო) არ გამოავლენს ხარვეზებს მიმდინარე 5 წლის განმავლობაში. აღნიშნულ პერიოდში გამოვლენილ ნაკლოვანებებს გამოასწორებს საკუთარი სახსრებით.

9. ანგარიშსწორება:

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2 ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 საბანკო დღის განმავლობაში.

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ნაღდი). გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

9.4 წინასწარი საავანსო ანგარიშსწორება დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 40%-ის ოდენობით.

9.5 მიმწოდებელთან ანგარისწორება მოხდება ავანსად ჩარიცხული და ბიუჯეტიდან დარჩენილი დასაფინანსებელი თანხებიდან პროპორციულად შესრულებეული სამუშაოების მიხედვით.

10. ფასები:

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე–4 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის (გასაწევი მომსახურების, შესრულებული სამუშაოს) ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის (გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის)გაზრდის ან შემცირების. ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების. საგადასახადო რეჟიმის შეცვლის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების +/- 10 %–ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა:

11.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რამე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებლის რამე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა:

12.1 მიმწოდებელს არ აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილებანი.

13. სუბ–კონტრაქტორები:

13.1. იმ შემთხვევაში, თუ სუბ–კონტრაქტორთან ხელშეკრულების დადების ან სუბ–კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემო აღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ–კონტრაქტორის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ–კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ფორს–მაჟორი:

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებებისამებრ, მიწანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდამიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის:

15.1 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოს 0,05%–ის ოდენობით..

15.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

15.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვადებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა:

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი

და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.

16.3 ხელშეკრულების ცალკეულ პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან.

16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას:

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

16.6 ამ მუხლის მე–5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

17. დავების გაწყვეტის წესი:

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირ არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2015 წლის 31 ოქტომბრამდე.**

19. სხვა პირობები:

19.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 ეგზემლარად , სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ორი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან)

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
დასახელება: თიანეთის მუნიციპალიტეტი	დასახელება: ინდ.მეწარმე ,,სულხან ყორიაული''
მისამართი: დაბა თიანეთი	მისამართი: ქ.თბილისი
რუსთაველის ქუჩა №67	ისნის რაიონი კ12, ბ63
ტელეფონი: 0 (348) 29-14-14	ტელეფონი: 599 75 00 33
მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	მომსახურე ბანკი: ს.ს,,თი ბი სი"
TRESGE22	TBCBGE22
ა/ნ GE24NB0330100200165022	ს/ა: GE09TB3765136010100025
საიდენტიფიკაციო კოდი: 232388378	საიდენტიფიკაციო კოდი: 01027026829
ხელმოწერა ----------	ხელოწერა ----------
ბ.ა	ბ.ა